

რედაქცია

გოლოვინის ბროსეჟიტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახ. ლეპში კლუბის ქვემოთ.

ხელის-ძაწვარი

მიღწევა ტულიში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი Вь Тифлисъ, вь редакцію „Дрoбeнa“.

„დროების“ ფასი:

თველის წლისა . . . 9 მან. } სამის თვისა . . . 3 მან.
ქვიზის თვისა . . . 5 მან. } ერთი თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა

ფასი ბანკნაღებისა

ლილის მხოლოდ, ასევე ერთი მარკა, მხოლოდ ერთ-ერთი მხოლოდ სახეობის ქვემოთ. ქვემოთ მხოლოდ ერთი მხოლოდ სახეობის ქვემოთ.

ცალკეოდნად „დროების“ დანართი შედრ.

ტელეგრაფი

(„ნარკლოთ ტელეგრაფის სააგენტოს“)

რუსეთიდან

4-ს იანვარს.

პეტერბურგი. მანეთი ღირს: ღონ-ღონში—23 3/4, პენსია, ბერლინი—201 ჰფინიგა, ჰარაუში—248 1/2, სან-ტიმო. ნახევარი რქონა—8 მან. 33 კაპ.

მდმსა. ოდესის ნაგო-სადგური გაყინა.

ხარკოვი. ქალაქის ბანკს წელს 200,000 მან. წმინდა შემოსავალი აქვს. იანვარში დიდ ძალი საქონელი შემოვიდა; ფასებმა კი დაიკლო

ბერლინი. ცეცხლი ციხეში შექმნილ შემთხვევით დაიწყო. შეშინებული ხალხი მიაწყდა კარებს და აქ სამსია კარს და ქალი გაიჭყლიტა; ამათგან 200-მდინ ქრისტიანთა, დანარჩენი ებრაელები. ამას გარდა სამხრეთ დასავლეთ კარს ნახეს; ცხრა მძიმედ დაჭრილნი. ცირკი ფიციანული იყო. ცეცხლის მქრობი კამხნდა ერთს საათს შემდეგ მოვიდა.

პიჰვი. აღმოჩნდა რომ იმ დღეს, რა დღესაც ბერლინის ციხე დაიწვა, 620 კაცს აუღია ბილეთი. ცირკი 1882 წ. არის აშენებული და არსებობს უკუმომეხუთჯერად გაუსხნაათ.

სამსჯელარ კარეთიდან

4 იანვარს

პარიზი. სამინისტროს თავსმჯდა-

მარე დიუკლერკმა დეპუტატთა პალატაში გამოაცხადა, რომ საფრანგეთი მტკიცედ დამდგარს ამ უფლებას, რომელიც იმს აქვს ეგვიპტეში და იმედი აქვს, რომ ევროპა ამ შემთხვევაში საფრანგეთის მხარეს დაიჭრეს.

პორტ-სანი. ხალხთა მთავარი გეგანა; სინაში, შეარტში და სმიანში კარანტინები გააუქმეს.

სტამბოლი. აღმოსავლეთ რუმელიაში ოსმალები აჯანყებულნი აპირებენ. „ახალ-ოსმალების“ ზარტამ გავსაზნა ფილიპოპოლის თოფ-ანარადი, რომელიც რუმელიის პოლიციამ დაიჭინა; ამბობენ, რომ რუმელიის სამსჯელარ-ზე ოსმალებს ჯარებს აგროვებენ საიდუმლოთაო. ქრისტიანები თავისდასაცვლად ეძახდებიან.

Table with 2 columns: Item Name and Price. Includes items like ბანკის ბილეთები, პირველი გამოცემისა, მეორესი, მესამესი, მეოთხესი, მეხუთესი, აღმოსავლეთის პირველი, აღმოსავლეთის მეორე, აღმოსავლეთის მესამე, ოქრო, 1/2 იმპერიალი.

Table with 2 columns: Item Name and Price. Includes items like შინაგანის 5% სესხის ბილეთები, პირველი სესხის, მეორე სესხის, 100 მანეთი ღირს: ღონღონი, მამბურლი, პარიფი.

ხი სდგას, მაშ რისა ეშინოდათ ამ მშრომელს ხალხს, რომელიც ისეთს მშობლობიანს საქმისთვის მიდიოდნენ, როგორც საქონლის მოვლა, გაკვება არის?... მე ხამი ვიყავ, და ყველა გასაკვირველად მეჩვენებოდა, რადგანაც ვერ წარმომედგინა ყველა ის გაკვირება და უსიამოვნება, რომელიც, თურმე, გზაში მოგველოდა.

მრთხმად გადაწყვიტეს იქ მოგროვილ მწყემსებმა, რომ გზაში და ბინაზედ რიგის მიმცემად მე უნდა ეყოფილიყავ და სვიმონაც ჩემი სურვილისამებრ თანაშემწედ დამინიშნეს. პურის ჭამის დროს, თასს თასზედ მიგზავნიდნენ, სმურს სმურზედ\*) მეუბნებოდნენ და საზოგადოდ ლექსად გამოჰყვანდით ის იმედი, რომელსაც ჩემგან მოელოდნენ.

მზემ გადაიხარა, როდესაც პურის მზემ გადაიხარა, როდესაც პურის მიუტანენ და ლექსით შესხმას ეტყვიან.

გავლილი წელიწადი რუსეთში.

პოლიტიკურის მხრით შარშანდელ რუსეთის მდგომარეობა „გამოუკლებელი მდგომარეობა“ უნდა ჩიითვალოს. ახლანდელის იმპერატორის გამეფებისა-თანავე გაფარდა ხმა, რომ, რადგან იმპერატორი ალექსანდრე მესამე საფრანგეთის თანამგონობად ითვლებოდა, ამის გამო მოსალოდნელია, რომ რუსეთი და საფრანგეთი მეგობრულის კავშირით დაუახლოვდებიან ერთმანეთსაო.

მაგრამ ეს იმედი გამტყუენდა; თუმცა ახალს იმპერატორს საფრანგეთის მტრობა არაფერში არ აღმოუჩენია, მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ იმის თანაგრძობა და სიმპატია ჯერ-ჯერობით უფრო ბერმანის ეკუთვნის, თუქა ცხადი მეგობრული კავშირი რუსეთს ჯერ არც ერთს სახელმწიფოსთან არა აქვს შეკრული.

„გამოუკლებელი მდგომარეობა“ რუსეთისა გამოიხატება უფრო შინაგან საქმეებში გამოვლენაში. წესდებდა ახალი კანონები ყოველ უწყებაში ცვლილებათ შემოსაღებად, სამინისტროები და „მცოდნე პირთა“ რჩევანი სჯიან რეფორმების შესამუშავებლად. მმართველობის წრეებში ყველგან გაცხარებული მუშაობაა. მაგრამ გაკვლეულს გზაზედ ჯერ კიდევ ვერ დამდგარყათ; შემდეგში მოველით მთავრობის ცხადს პროგრამას.

ჯერ კი ცხადი და გაკვლეული მხოლოდ ერთი მოვლენა გამოაშკა-

კმა გავათვით; მე შევეუდგე ჩემი მოვალეობის აღსრულებას. მწყემსები იმდენს დაპარაკობდნენ გაკვირებაზედ, აუცილებელს შეტაკებაზედ, ქურღობაზედ, რომ პირველადვე ჩემი ყურადღება იარაღმა მიიქცია და ამისთვის მოკრიბე მწყემსები და დაეუშინე არალი, რომლითაც სრულად კმაყოფილი დაერჩი; ყველას თოფები და დამახები გავშენდილი, ჩამხანები მომართული, ტალები ახალი და გამოპირული, ხანჯლები დაღესილი და მოპირული, ხანჯლები დაღესილი და ტყვია-ამალი საკმარისი ჰქონდათ! მრთი იტყვიით ისე მზად იყენე, რომ რა წუხსაც გინდოდათ საბრძოლველად ყყენა შეგეძლოთ...

სხრი იმ დამეს იქ უნდა დარჩენილი და მეორე დილას, გარე-რაქზედ უნდა გამეზავრებულყავით ყაზახის სტანიცა მანანთურტის ადგილში, ბრავუნში, სადაც საზამთროდ ადგირი გექონდა დაქერილი. მედა სვიმონა გამოველით ჩვენს

რავდა რუსეთის შინაგან ცხოვრებაში: გასაშტერებელი და თითქო გადამდებ სენად გარდაქცეული ტაციობა, ჰამა სახანრო ფულებისა სხვა-და-სხვა ჩინოფნიკებისაგან და ბანკების გაკოტრება. მთელი გავლილი წელიწადი ტელეგრაფმა ისე არ წაუკითხავს ჩვენს მკითხველს, რომ ერთი ბანკის გაკოტრების ანუ რომელიმე ჩინოფნიკისაგან სახელმწიფო ფულების შექმნის და გაქცევის ამბავი მაინც არ ამოეკითხოს. დამავიკრავინებლად ამ გვარ ამბებისა შეიძლება მოვიყვანოთ ამბავი სკოპინის საქალაქო ბანკისა, რომლის გამგებლებმაც ცამეტი მილიონი მან. ქვეყნის ფული შესკამეს.

დასაფიქრებელია ეს მოვლენა რუსეთის ცხოვრებისა. თითქო არაფერს აღარ ესმის, რომ სახელმწიფო ხაზინა იგივე სახალხო ხაზინაა; თითქო სინილისი, მამულის-შვილობა, პატიოსნება გაუგებარ საგნებად შეიქნა, ისე მოქმედობენ. მომავალი ისტორიკოსი რუსეთისა, უეჭველია, დაფიქრდება ამ თითქმის საზოგადო მოვლენაზედ და სანუგეშო დასკვნას არ გამოეყვანს აქედამ.

ამ უკანასკნელ დროს გრაფოლოსტოის დანიშნვამ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად ცოტოდენი ფერი მისცა მთავრობის მიმართულებას. ეს მიმართულება ჯერ-ჯერობით იმით გამოცხადდა, რომ ზოგიერთ რუსულ გაზეთებს, მაგ. „მოლოდს“, „რუსკი კურიერს“, „მოსკოვის ტელეგრაფს“, რომელნიც ლიბერალურ ბანაკის გაზეთებად ითვლებიან, ცოტა არ იყოს ფრთები შეაკვეცეს და ძველებურის

სოფელში დანარჩენი საქმის გასარიგებლად, შინაობაში რიგის მისაცემად და გამოსასაღებლად.

— ძალიან კი ვეზადებით სვიმონაუ, და არ ვიცო, რაი იქნება? მკითხე.

— მომზადება წინად უნდა, თორემ როცა გაჭირდების, გვიანდა იქნება. მიპასუხა იმან აუჩქარებლივ.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ჯარში მივიდოდით. ღმირლით ვუთხარ, რადგანაც მინდოდა სალაპარაკოდ გამოემწეია და დაახლოვებით შემეტყო, თუ რა მოგველის გზაში.

— რა „ბედენია“, შენაი ქირაიმე, კაცი თუნდ ჯარში წასულა თუნდა მწყემსად?... ორგანვე იარაღს ვერ მომიშარებს.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ ცხორს ყველა ემტერების; ნადირი, კაცი, ამინდი—ყველა ცხორის მტერია, ყველა იმას ეტანების. წარმოსთქვა იმან და

„დროების“ ფელტონი, 6 იანვარი.

მეფისის მოგონებანი \*)

III

ზაიარა რაოდენიმე ხანმა, მე მოვაშხადე საჭირო ბილეთები, და სტეფან-წმინდის პირ-და-პირ, მერგს გაღმა, შეახალიანთ სათიბეში ყველა ნაძგალები მოვეგროვდით, დაურიეთ ერთმანერთს ცხვარი და რადგანაც მეორედღეს გამგზავრებას ვაპირებდით, ჩვეულებებისამებრ გავმართეთ სადმართო.

აქ ყველანი ისე იქცოდნენ, ისე ლოცულობდნენ და ეთხოვებოდნენ მოწვეულს მეგობრებს და ნათესავებს, თითქოს საომრად მიდიოდნენ სადმე ანუ დიდს ფათერაკს ეძლეოდნენ. მართალია ნოლებისა და ჩეჩნების მიწვრები კარგა დაშორებულია ჩვენგან, მაგრამ იქაც ხომ დამშვიდებული ხალ-

\*) ის. „დროება“ 1882 წ. № 271.



სითამამითა და თავისუფლებით წერის ნება მოუხსნეს. მთელი რუსეთი გრძობს ახლანდელ „გამოუკლებელ მდგომარეობას“ და დღე-ღამე მოელიან, რომ ეს მდგომარეობა გათავდება და ერთს გარკვეულს გზაზე დადგება ხალხის ცხოვრება.

**დღიური**

დღევანდელს ნომერში დაბეჭდილის განცხადებამ შეიტყობთ, რომ ქალაქის ამომრჩეველთა პირველ ხარისხის იმ არჩევანის მაგივრად, რომელიც მთავრობისაგან უკანონოდ ცნობილი და გაუქმებული იქნა, ხელახალი არჩევანი უნდა მოხდეს ამ თვის 9-ს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თ. ღონდუკოვ-პორსაკოვის შუამავლობით, გარდაწყვიტა მიეცეს სოხუმის მაზრის მცხოვრებლებს ხუთის წლის ვადით სესხით 15,000 მანეთი ოცი ათას ფუთის სიმინდის სასყიდლად.

მრთი ამბავი შეეიტყეთ ბათუმის გზის თაობაზე, რომელიც შემოწმების დროს საჭიროა მხედველობაში მიიღონ ვისდამიც ჯერ არს. ზოგიერთ ადგილებში, საცა მიწის დაყრა იყო საჭირო, ამისთანა ადგილებში წმინდა და მიწის და ქვის ნაცვლად, მიგადა-შიგ ხის ღერებს, ჯირკვებს და ფესვებს ურევენო.

მთუ ეს ამბავი მართალია, დარწმუნებით უნდა ვთქვათ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ეს ხის ჯირკვები დაღვება, უეჭველად გზარელოვით დაიწვეს და ისეთივე ამბავი მოხდება, რაც ქუთაისის გზაზე ქუთაისთან მოხდა. მა. ძლიან ს ფქებელი. ს ქიროა კარგი გამოკვლევა—სად ყოფილა ესეთი კეთება. ნუ დაიფიქრებთ, რომ ზღვის პირას მალე ხემ ღვება. ჩვენ ვერ შევიძლით

დაუმატა:—მაგითა მემცხვარე ბედ-შაი; ყველა ხელობის კაცს შეუძლიან მოისვენოს, გადასლოს საქმე მაგრამ მემცხვარეს კი არა... აუღარში „ცხრა“ მუშა თავი შეფრებს და მწყემსი კი „ცხორთან“ უნდა მოკვდეს... ღამეა და ცალ-თვალ გახელილი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ დაუფთხეს, ან ნადირმა არა გაიტაცოს და ან ქურდმა... მწყემსისთვის მოსვენება არც დღე და არც ღამე!

მართლაც წარმოდგინეთ, მკითხველო, მწყემსის მდგომარეობა, ცას ქვეშ, ბნელსა და ცივს ღამეს; განუწყვეტლივი კოკებრივი წვიმა, რომელიც ასველებს და ჰყინავს რბილსა და ძვალს; ქარშხალი სადგინებსაივით სჩხელეტეს ქარისგან გადაგდებული ნაბღის ადგილს და ცხვარს-კი მაინც ვერ მოშორებიანთ, თავი ვერ შეგიფარებთ, ამიტომ, რომ ცხვარს ვერ მოვაცდენთ საძოვარს და იქ-კი გაფაციცებული, გაფთხილებული თვალი ეჭირება.

ცხვარი ჯერ ბინიღვან არ აშლი-

გამორკვევითი ცნობა მიგველო, მაგრამ ეს იმდენად საჭიროა ყურადღების მიქცევისა, რომ არ შეიძლება და ფქტი არ ადგენიშნა. ჩვენი რკინის გზა აქამომდე სამშვიდობოთა მუშაობს და გვაურს ეს სახელი სამუდამოდ შერჩენოდეს.

ამბობენ ბქოს გზა ხალხის სატარებლად მარტში ანუ აპრილში გაიხსნებაო. ბათუმისა მარტშიო.

ჩვენ შემოგვიჩივან შემდეგს: „ამ სიძვირისა და გაჭირვების დროს შენი მტერია ისეთ წყალებში, უსიამოვნებაში და ზიანში როგორც ჩვენი ქალაქის ხალხია ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან. ბატონო, სასწორშიაც გატყუებენ, ზომაშიაც და ღირებულებით უშვერ ლაპარაკით ხომ დედაც ბაზარში არ გაველებ. აწონინებ ბაყალს ერთ გირვანქა ხილსა და ერთ მეოთხედს გიკლებს; აწონინებ მეფურნეს ათ გირვანქა პურსა და ორ გირვანქას გიკლებს; მიღიხარ აფასებინებ რამე ხორაგსა და შეფუჭებაში ასეთ-ასეთებს გეტყვიან, რომ თავსა და ბედს იწყუფლო; ისე გაუბატურებენ. მოდი და იარე სასამართლოებში ამით უკანა. შევლაფერზე ღელი აუღიანთ ამ ცოდვის შეფლამა: ნამუსზედაც და სვინიღისზედაც.“

„ღვთის გულისათვის მითხარით, ძალაქის რჩევა და გამგებლობა რად გინდა, თუ კი ბაზარსაც ურს არ დაუდებ. შეველა თვალთ: ხედავ, რომ მეფურნებს სასწორი კუთხეში მიუშალაეთ. ნუ თუ ამასაც არა ხედავს ძალაქის გამგებლობა.“

ბეწერენ ერთ შენიშვნას: „ამს წინად „ღრობაში“ წავიკითხეთ, რომ ქართული თეატრის დასი გალობის თუ სიმღერის საქმეს შეგდგომია და აპირებს ქართველ მგალობლების დასის შედგენასო. ძე-

ლიყო“, როდესაც ჩვენ ვავეით და ღმერთსა და ხეურა „ჯვარ-ნგერო-ხების“ ხსენების შემდეგ გაუმართეთნით ჩვენს გზას.

ჩვენი სანამგალოა ცხვარი გაყავით ხუთს ფარად, წინას ჭვატანე სვიმონა და მე თითონ უკანა ფარაში დავრჩა; თუმცა ჩემი თანა შემწე, წინა ფარაში ყოფნას როგორაცა ზარობდა, მაგრამ იმ მოაზრების გამო, რომ უკან მყოფს არ ამცდროდა რაც კი წინებს შემთხვევითა დ უფრო ადვილად თვალ-ყურის დაქრაც და მიშველებაც შემძლო, ჩემი ავსარულე.

ცხვარი გაიძაბა ვიწრო, ხეტლს ხეობაზედ და დაემგზავნა მოზავს გძელ ხორტს. წყარისა და ფთხის სიარულს შემდეგ მივხლოვდით ღარიალას. შეცრად წინა ცხვარი ეყენეს და რაღაცა ხმაურობა მომემა; არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როცა-საც ერთი მწყემსი წამოვიდა ნჩეკე რბოლით, მოვიდა და შემატყობია, რომ ყაზახები ცხვარს არ უშვებენ.

თილი იყოს. მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდნენ და გამართდნენ, ერთ სურვილს გამოაცხადებთ, რომელიც ასაარულელად ადვილია: ჩვენში ძველი სიმღერების ხმები ბევრ გვარია, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში უყუართ და შეგულისებში საზარდებსაც ამღერებენ, ან თითონ მღერაან; მაგალითად აღექსანდრე შავჭავჭავის, ბესარიონ ბაბაშვილის და სხვების სიმღერებსა. მართლთ თეატრში კი ეს ხმები და სიმღერები არ გვესმის. სასურველია, რომ თეატრში მოგვეცეს ეს სიამოვნება. მითო წარმოდგენაზე ორი-სამი ნომერი რომ გავგაგონონ, მეტიც არ გვინდა. აფიშაში გამოცხადება ამ სიმღერების სახელდობრივად, მე მგონია ბევრს მსმენელს მიიზიდავს.

ამისი ასრულებაც ძნელი არ არის, გვეყვანან მომღერალი აქტორისები, გვეყვანან ძველი სიმღერის მცოდნე საზარდები, რომელთაც შეუძლიათ მათი სწავლება; ამას გარდა სხვებისც დაეხმარებინ.

როგორც ლაპარაკობენ, ძალაქის ვაჭრებს გილდიის მოწმობა ქრისტიანობისთვის ნახევარს არ აუღიაო. ეს ბევრს აფიქრებს, ვისაც ძალაქის ვაჭრობაში და ვაჭრებთან საქმე აქვს. მაგრამ იანერის პირველს დღებში ქალაქს ხაზინაში მოწმობის ამღებნი ბევრნი აწყდებიან. ბოლო ენახოთ როგორი გამოჩნდება და შარშანდელზე რამდენით იქნება ნაკლები. ჯერ-ჯერობით ასე ლაპარაკობენ, ვითომ ბევრნი აპირებდნენ ღუქების დაკეტას, ვაჭრობის მოსპობას და სხვა ქლაქებში გასვლასო.

ამ ყამად ქართული წიგნები ქალაქში მხოლოდ ორ წიგნის მაღაზიებში იყიდება. ძაგასის (ბრიჭუროვის) მაღაზიაში, ძუკის ხიდთან, ბაღის პირ-და-პირ და ზაქარია შიჭინაძესთან. მა მეორე მაღაზია ამ ხა-

ღარიღლაში, მშვიდობისაზრის დასა-ფუკლად, დგანან რუსის ყაზახები და იბათ სხვა უფლებების გარედ ნება აქვთ მიეცემული გამგელ-გამომგელის ბილეთები მოსთხოვონ, შეაბოწმონ ბილეთში ჩაწერილის ნაშენ-ბიო სინამდვილე ქალაქის წარმოდგენისა და სხვა...

— რისთვის დაგაყენეს? მკითხე მე.

— იქისთვის რომ ყაზახებს კაცის წვალება უყვარსთ. მოკლედ მიბა უხა მოსულმა.

მე გავწიე, ჩავედ და ენახე შემდეგი: ჩვენზედ წინ წასული ფარები დეერიოთ ერთმანერთში, შეერეკათ მოწნულს ბაკში, რომელიც ტალახით სავსე იყო და წმინდად გაბანილი ცხვრები მუხლებამდის შიგ იფლობოდნენ!

რადგანაც დედალ-მამალი ყაზახებს დაერიოთ ერთმანერთში, ცხვარი ნერბობდა და ბატკანი უეჭველია აღრე გამოვიდოდა, სწორედ ისეთს დროს, როცა ახალი ბალახი ჯერ არ იქნე-

ნად გადაღის სხვა ადგილს და ამის გამო დაკეტილია.

რაჭილამ ამბავი მოდის, რომ ამ იანერამდე კარგის დარგების გამო ხალხმა ცოტაოდენი შეება ნახაო. საკმაოდ გადუტანიათ პური და ამის გამო მცხოვრებთ არ უძნელდებათ პურის მოვნა, თუმცა კი ესეც ურდა დაურთოთ, არც თუ იფობაა. საქონელი მინდორში ჰყავდათ და ამით იმედი მიეცათ პირუტყვის გადარჩენისა, რომელიც სულ დაღუპულად მიანდათ, დიდი ზამთარი რომ დამდგარიყო. მაინც-და-მაინც შესამჩნევად ჩანს პირუტყვის სიმცირე. შემოდგომის გლუხ-კაცბმა ნახევარი საქონელი დაჰკლეს და აქა-ქ დაჰყდეს, რადგანაც უსაჭმლობით დახოცვის ფქრი ჰქონდათ.

ამ ორშაბათს, 3 იანერს, სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეებისათვის გამართული იყო „იოლოკა“, ტანცაობით და წარმოდგენით ქართულს, სომხურს და რუსულ ენებზედ. ამ გვარი დროს-გატარება ბეშებისთვის ჩვენ სასარგებლოდ მიგვანჩია და ვისურვებდით, რომ წლის განმავლობაში რამდენჯერმე ყოფილიყოს გამართული.


ბაშვებმა კარგად და სასარგებლოდ აღასრულეს თავიანთი როლები; ხალხი იყო მრავალი, მაგრამ სამწუხაროდ რიგის მიმცემთა ცოტა არ იყოს თავი მოგაწყინეს; მაგალითად ტანცაობის დროს ერთბაშად მოისმოდა კლასის უშველებელი ზარის რეკა, მუშიკა გაჩუმდებოდა და მოისმოდა მოათვის ყვირილი:— „მე არ გაძლივეთ ნებას ექვს წყვილზედ მეტი გახედეთ სატანციოდ! მაგრამ, რა მუშიკა და იწყებდა დაკვრას, ზალა ისე მოტანციობით გაივებოდა! ისე ზარი, ისე ყვირილი რიგის მიმცემისა, ისე შეჩერება მოთამაშეთა!

პროგრამით საღამო კალრელით

ბოლა გაჩენილი, დედა რძეს ვერ მოუშალდებდა და, მაშა აადამე, ან უნდა დაჩაგრულიყო ნორჩი, ნაზი ბატკნები და ან დახოცილიყო. ღიღინის ნადგომი დამაალი და ყროლებული სხვა-და-სხვა უწმ ნღურებით ტალახი-კი ცხვარს ფიხებს „უყელამდა“ უფუქებდა და დაკოტლებული ცხვარი საძოვარზედ ვეღარ ივლიდა, ქაჩებით თოვლს ვეღარ გასთხრიდა და ვერ ამოაჩენდა საძოვარ ბალხს, ეს გააღუბებდა ცხვარს და თუ ზამთარს გად რჩებოდა, პატრონს საარგებელს მაინც ვეღარ მისცემდა;—მატყლი არ გაჰყვებოდა და ბატკანს ვერ აღზრდიდა.

რასაკვირველია, რომ ყაზახებს, შეჩვეულს, მულამ ტაციობით ცხვრებას, სულით და ხორციით დამახინჯებულებს, გარყენილებს არ ესმოდათ ის ზარალი, რომელსაც თავიანთის ძალ-დატანებით და უსამართლობით მწყემსებს აძლიევენ, მაგრამ მე გამიკვირდა ის თავ-აწყვეტილი არეუ-





უნდა გათავადიყო, მაგრამ საზოგადოების თხოვნით დაუკრეს ლეკური და რა ლეკური გათავდა, მემუნიციპალიტეტში წასასვლელი მარში დაჰკრეს, აიბარგნენ და წაიღინენ. საზოგადოებაც ნაშუალამევის 2 საათზე დაიშალა.

\* \*

ჩვენ შეეცდეთ, რომ ეპარხიალურ მთავრობის წინადადებით, იმართება ლეკები სამღვდლოებისათვის, რომელთაც აღესხნებათ და განემარტებათ სახარების სიტყვა, მისი მნიშვნელობა და მღვდელ-მოდღვრობის მოვლეობა. ეს ისეთი სასარგებლო რამ არის, — რომ სულით გულით ვისურვებთ ამ აზრის ჩქარა განხორციელებას რადგან ჩვენს სამღვდლოებას ეჭირება სახარების და საზოგადოდ სამღვდლო წერილის შესწავლა.

\* \*

ამბობენ, ბათუმის გზა უკვე შეუსრულებიათ და ქრისტიანობის 27-ში მოსულან კიდევ იქილამ სამტრედიაშიღის.

\* \*

ძლივს გვეღირსა თოვლიც!... თუმცა საცივე გვაწუხებს, მაგრამ იმედი მომავალს მოსაგაღწეოდ, რომელსაც თოვლი ისე შევლის, გვანუგეშებს.

„დროების“ კორექსიონი

ბათუმი, 20 დეკემბერს. სიამოვნებით ვისწრაფვი ვახარო „დროების“ მკითხველებს ის გარემოება, რომ ჩვენი ბათუმის ქართველი საზოგადოება არ ყოფილა თურმე ისე გულ-ცივად ქველ საქმეებზე, როგორც ბევრს ეგონათ, თურმე ამ პატიოსანს საზოგადოებაშიაც ღვიოდა ქართველური გულ-მზურვალობა და სიყვარული საზოგადო საქმისადმი, თურმე იგი მზად ყოფილა დაეხმაროს ყველა საზოგადო საქმეს, რაც კი შეეხება ჩვენი ხალხის წინ-მსვლელობას და კეთილ-

დღეობას, თურმე ამ საზოგადოებაში დიდი ხანია, რაც ყოველივე ქველ მიზნით დაწყობილი საქმე საანატრელს თანაგრძნობას იწვევდა, როგორც სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში, — მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, ეს კეთილშობილური სურვილები საზოგადოებისა ჯერ სცენაზე, საჯაროდ არ გვინახავს გამოხატულნი.

ღღესკი, როგორც დაინახეთ საქმიდგან, თვალ-საჩინოდ დაამტკიცა ბათუმის ქართველობამ, რომ იგი არის განუყოფელი და არსებითი ნაწილი ჩვენი ქართველი საზოგადოებისა.

რამდენიმე ქართველთ ქალთ გარდასწავიტეს დაწესონ ქ. ბათუმში სკენის მოყვარეთა წრე, რომელსაც მიზნად ექმნება წარმოდგენების, კერძო ლოტარიების და კონცერტების შემწვობით დაეხმარონ ტფილისში დაარსებულს „წერა-კითხვის“ ბამაერცვლებელს საზოგადოებას. ამ პატიოსანთ გვამთ კარგად იცინ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საზოგადოებას ჩვენი ერისათვის; იცინ, რომ თვითონ მმართველობამ მოგვცა ნება ამ საზოგადოების დამტკიცებით, რომ ჩვენვე დავეხმარათ ჩვენ ხალხს, რომელიც აგერ მეთვრამეტე საუკუნიდგან დასწავებია მღვდურს ძილს და აღარ იღებს თავს მალლა. სასურველია, რომ ყველა ჩვენმა ქართველმა ქალებმა მიჰხადონ ამ პატიოსანთ გვამთ, რომ ჩვენი ქალები ცოტათი მაინც გაგვანსენებდნენ იმ დიდებულთ ღელათა, რომელთაც ჩვენი ერის აღორძინების ისტორიაში არა ნაკლები ადგილი უჭირავთ მამაკაცებთან.

არც მამათა სქესი ჩამორჩა უკან ღელათა სქესს: გუბერნატორის თანაშემწე ბ-ნი ნ. ბ. პრისთაი გულმზურვალედ მოწადინებულია ადგილობრივი ქართული სკოლის შენობისთვის შესაბამი ადგილი აღმოაჩინოს ბათუმში და ამენებაშიც დაეხმაროს. არ შეგვიძლიან არ მოვიხ-

სენოთ ბ. დ. შ. შურულიც, რომელიც გულითა და სულით მოსურნეა ყველა შემწვობა მისცეს ადგილობრივ ქართულ სკოლას, რომ იგი რიგან და საანატრელს გზავდეს და მუყარდეს.

მულითადის სურვილით კეთილინებს და ჩაეწერნენ წევრებად ამ მიმავლის იანვრიდან „წერა-კითხვის“ გამაერცვლებელ საზოგადოებაში“ შემდგე პირთა, რომელნიც ღირსნი არიან სრული სიმპატიისა ჩვენი საზოგადოების მხრივ: მაიორი ღვით ბ. ჩხეიძე, თ. სარდიონ აპირაჯიბი, თ. ლევან ჩაჩუა, შიორგი ბერიძე, მიშეარდი ვ. შაყელი, ღვით ს. ძლდიაშვილი, ნესტორ ბ. შკრებელიძე, თ. შარსადან ბ. მიქელაძე, სილიბისტრო მაშალომიძე, ბრიგოლ ბეგენაია, ალექსანდრე ხოშტარია, ივანე საულილი, თ. ბ. შალავა და პორფირე მაშალომიძე.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი. გ. ნათაძე.

თელავი, 26 დეკემბერს. მშვენიერია თელავი თავისი ტურფა და მდიდარი ბუნებით. ეს ბუნებითი სიმდიდრე და სიმშვენიერე ხლის იმას მთელის ქახეთის „თვალად“ და ამ მხრით უჭირავს ერთი უბრველესი ადგილი საქართველოს ქალაქების რიცხვში. აგერ ზამთარია და ბუნება ღღესაც თავის სიტურფეს არ ჰკარგავს.

თელავი გაშლილია მალლობ ადგილზედ, საიდგანაც გადასცქერია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ გაზოდილს, მშვენივარე ძაეკასიონის მთებს, რომლებს თეთრი წვერები მალლა ცის სიერცეში იკარგებიან. თელავსა და ამ მთებ შუა გადაშლილია ალაზნის განიერი და მოსაგლიანი მინდორი, რომელსაც თითონ ალაზანი შუაზედა ჰყოფს. სამხრეთ-დასავლეთით აღმართულია „ცივის“ მთა თავის ტყით შემოსილის სერებით, რომელნიც თელაველებსთვის გამხდარან სანადირო

ასპარეზად. ხშირად ქვეყნის უმდიდრეს მეძებრების ყეფა და უმდიდრეს სურათს. თითონ თელავი არ არის ბინძური ქალაქი; უფრო სუფთაა ერთი უბანი — „ახალი თელავი“, სადაც ცხოვრობენ ქართველები და აქა იქ სამხეები, და სადაც არიან სახელმწიფო დაწესებულებანი — და ბულფარი. შესანიშნავია თელავი თავის კამკამა და ბროლის წყაროებით; ჰური და ღვინო ხომ რაღა თქმა უნდა.

ამ გარეგან სიმშვენიერეს და მოწყობილობას, საუბედუროდ არ შეეფერება, არ შეესაბამება შინაგანი ცხოვრების მსგელოება და მოძრაობა. თელაველების ცხოვრებას როკაცი დააკვირდეს, ბევრს არა მანუგეშებელ მოვლინებას ნახავს. ჯერ ერთი ის ფაქტი, რომ რა მესამედზედ მეტი ცხოვრებლებსა გაიძვერა ვაჭარია, გვიჩვენებს რომ აქ ხალხი ზნეობით არ უნდა იყოს ამოღებულნი. აქ კაცი შენიშნავს ბევრ ნაირ წყობას, ანუ პარტიას, რომელნიც ერთმანეთში უთანხმოებისა, სიძულვილის და მტრობის მეტს არას არიგებენ.

ბრწყინვალე თავადობა, რომელიც ამყობს თავისი ჩამომავლობით და დარჩენილის მამულ-ღედულით, შეადგენს ცალკე ბანაკს, და სხვას ღირსად არ სთვლის თავის გროვაში გაუჩიოს მაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომით დილიდგან საღამომდის იმათ ხედავთ ბულფარზედ; ჰურის საჭმელად თუ წავლენ ხოლმე შინ. სადილის შემდეგ, რასაკვირველია, მიეცემიან მოსვენებას; ძილის შემდეგ ისევ ბაღი, ისევ ბაღი, თუ კორი...

ცალკე ბანაკს შეადგენს მოქალაქობა და ესრედ-წოდებული „კინტობა.“ მსენი სულ სხვა ხასიათს წარმოგვიდგენენ თავიი გარეგანის მხედლეობით საკუთარის სიმღერით, თამაშობით, ლაპარაკით, ქეთით, პირში კაცის უმიზეზოდ გალაძღვით,

ლობა და თავისებობა, რომელსაც ისინი ჰბეღამდნენ.

მიველ თუ არა შემომიხევიდნენ ჩვენი და სხვა მწყემსები ხეწნივთ:

— შეიშველეთ-ღა რამე, წმიდის ბივრგის თავით გეხვეწებით!

— რად დაგაყენეს, რას ამბობენ?.. მიკითხე მე.

— შარი მოგვდეს, ცხო რაღა! მიპასუხა ერთმა და დაუმატა: — ხუთ თუმანსა გეთხოვენ, თუ მოგვცემთ გაგიშვებთო, თუ არა და არაო...

— მითი თუმანი ვაძლიეთ და არ დაგვეჯერდნენ დაუმატა მეორემ.

— რას ამბობ, რად უნდა მისცეთ. მუთხარ მე და მიეუბრუნდი იქ მყოფს ყაზახებს: — ვინ არის თქვენში უფროსი?

— მე რე შენ რა გინდა? მივიღე პასუხად. — ნაჩალნიკი ხარ?

— მაგას გაიგებ ვინცა ვარ, ვუპასუხე გულ-მოსულმა და გაეუშეორე კითხვა: — ვინ არის უფროსი?

— მე ვარ უფროსი, რა გინდა?

— რად გაგიჩერებია ცხვარი?

— ჩემი ნებაა და იმითომ.

— შენ გესმის რა ხარალაც აძლევ მწყემსებს?

— სულაც რა გაწყდნენ, მე რამენ ღელება?..

აშკარად დაინახე, რომ ამ კაცთან კაცური ლაპარაკი არ გამოდგება და დაერწმუნდი კდევ, რომ ცრუობდა — უფროსი ის არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც არაფითარი ნიშანი არ ჰქონდა და უბრალო ყაზახი იყო.

მე მოვშორდი იმას და გავწიე კაზარმებისაკენ, სადაც, კარებში შემხვდა მეორე ყაზახი.

— სად მიხვალ? შემაყენა იმან.

— თქვენი უფროსი უნდა ვინაო.

— ისა ქეთობა, შენთვის არა სცალიან.

— წადი უთხარ, რომ იმის ნახვა მსურს, მე დაუუახნეღე ჩემი სახელი და გვარი.

— შენ რა ჩვენი ნაჩალნიკი ხარ! ბაიციანა იმან. მე გული მომივიღა და ძლივს შევიმაგრე თავი. მშვიდობიანობის დამცველი ქეთობას და როდ-

საც კაცსა საძარბოსის სათხოვრად მიღის ყაზახები მასხარადაც-კი იგდებდნენ! რაღა მჩხებოდა?.. ძიღვე კარგი, რომ რუსული წმინდად მაინც ვიცოდი, თორემ თუ ისეთი ვინმე შეხვედროდათ, რომელსაც ეს ენა არა სცოდნოდა, უმეტეს შეურაცხყოფასაც მიაყენებდნენ.

მე გამოგებრუნდი, დაფხანე ბიჭებს რომ გამოერეკათ ცხვარი და გაეწიათ თავის გზაზედ.

რა წამს საკოდავებმა გაიგონეს ჩემი ხმა, სიცოცხლე გაქვსთ, ჩქარა გადმოამტერიეს კარები და გამოუშვეს დამწყვედული ცხვარი, რომელიც შეწუხებულყო და რა თავისუფალი გზა დაინახეს ხტუნაობით გამოდიოდნენ.

ყაზახი მივარდა ერთს მწყემსს და დაჰკრა მათრახი, რომელმაც ანთოა მემცხვარე; ისა სწვდა ყაზახს, გადმოილო ლობიღან, რომელზედაც შეხტა, ჩაიღო ფეხ-ქვეშ და სანამ მე გაავადგებინებდი კარგა ლაზათიანადა სთელს. იმის ყვირილზედ გამოცვივდნენ სხვა ყაზახები, დაერიგნენ მწყემსებს, მაგ-

რამ რას განდებოდნენ თხუთმეტოდე ყაზახი ოთხმოც ხევში გამოჩრეულს მწყემსებთან. მალე შეიქნა ყაზახების ხეწნია მულარა, თითონ იმათი უფროსი, ურიადნიკი ბელოგოროვი თუ ბელოგორსკი, გნლა კარგად აღარ მახსოვს, გამობრძანდა, განეთქილი და ძლივს ფეხზედ მდგომი, მარტო ცარიელა პერანგში. პირველი იმის დაძახება იყო:

— იარაღი! მაგრამ რა დაინახა თავისი გაფანტული ყაზახები და ძალა სხვის მხარეს, ჩქარა იკადრა შინ შევიარდა ჩოხის გადაცმა, ხმალიც-კი გადაეკიდა მხარზედ და მოწიწებით მოვიდა ჩემთან, ხეწნიით და მულარით, რომ გვეპატიებინა ყაზახების უწესოება.

ხალხი როგორც იყო დაემშვიდე, ცხვარი გამოვიყვანეთ და მწყემსების სასიამოვნოდ გავავადეღეთ ჩვენი გზა.

ს. მარხუბაძე.

(გაგრძელება)



